## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N96

## ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე № NAT170005309

ქ. თერჯოლა. 11 ივლისი, 2017 წ.

ერთის მხრივ,

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

წარმოდგენილი თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თემურ ქოჩიაშვილის სახით,

მის: ქ. თერჯოლა, რუსთაველის გამზ. №109.

საიდენტიფიკაციო ნომერი: № 231 946 623.

ტელეფონის ნომერი: (0491) 24-44-64

ელ-ფოსტა: sheskidvebi.terjola@gmail.com

ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

შპს ,,გი-ან 2011"

წარმოდგენილი დირექტორის გია კოპალეიშვილის სახით,

საიდენტიფიკაციო ნომერი: № 412676322

მის ქ. ქუთაისი ლესელიძის 1ჩ. №15

ტელეფონის ნომერი: 579 20 20 20

ელ-ფოსტა: gi-an2011@mail.ru

მომსახურე ბანკი: სს,,ვითიბი ბანკი"

ბანკის კოდი: UGEBGE22

ანგ. ნომერი: GE28VT0500000051693605

(შემდგომში მომწოდებელი)

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის NAT170005309 საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა. ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 ,,სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი.

2.1. ქ.თერჯოლა-სიქთარვის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების სახ. შესყიდვა ( მეორე ეტაპი, დასრულება)

2.2.მიმწოდებლის სატენდერო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა), ტექნიკური დავალება (სპეციფიკაციები, ნახაზები), გეგმა-გრაფიკი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.3 კლასიფიკატორის კოდი – 45233110 - საავტომობილო გზების მშენებლობა

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **688`000** (ექვსასოთხმოცდარვაათასი) ლარი
3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1.ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების სისტემატიურ კონტროლს (ინსპექტირება), მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახური.
4.2.პერიოდულ ინსპექტირებას ასევე განახორციელებს - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფი''
4.3.ინსპექტირების შედეგები აისახება შესაბამის აქტში და სამუშაო წარმოების ჟურნალში.
4.4.ინსპეტირების შედეგად არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება, თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი.
4.5.იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს.

## 5. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი

5.1,,მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოების სრულად შეასრულოს ხელშეკრულების დადებიდან 100 (ასი) კალენდარული დღის განმავლობაში, 2017 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.
5.2,,მიმწოდებელმა"სამუშაოები უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5(ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
5.3.მიმწოდებელმა" ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულ სამუშაოებზე (საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს) უნდა წარმოადგინოს სამუშაოების დასრულების დადასტურების დღიდან 20(ოცი) კალენდარული დღის ვადაში
5.4 სამუშაოების შესრულების ადგილი: თერჯოლის მუნიციპალიტეტი ქ. თერჯოლა-სოფ: სიქთარვა.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და პირობები

6.1.შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივი მიღება ჩაბარების წესი და პირობები:
6.1.1. შესრულებული სამუშაობის ეტაპობრივი მიღების დროს ,,მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს

- ✓ მოთხოვნა შესრულებული სამუშაოების მიღების შესახებ.
- ✓ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ფასები.
- ✓ ფარული სამუშაოს აქტები.
- ✓ სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული სამშენებლო მასალების (ცემენტობეტონის (ნარევის მარკიანობა, ხარსიხი) ღორღის, ქვიშის) დადებითი ლაბორატორიული დასკვნა.

6.2.ეტაპობრივი მიღება განხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის სისტემატიური შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის'' დადებითი დასკვნის შემდეგ.
6.3.შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება ჩაბარების წესი და პირობები:
6.3.1 შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება ჩაბარების დროს ,,მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს:

- ✓ მოთხოვნა შესრულებული სამუშაოების მიღების შესახებ.
- ✓ ფარული სამუშაოს აქტები.
- ✓ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ფასები.
- ✓ სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული სამშენებლო მასალების (ცემენტობეტონის (ნარევის მარკიანობა, ხარსიხი) ღორღის, ქვიშის) დადებითი ლაბორატორიული დასკვნა.

- ✓ მთლიანად შესრულებ სამუშაოებზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზი ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო შესრულებულ სამუშაოს ფასზე, ხარისზე და მოცულობაზე (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" დამატებით წარმოადგენილი უნდა იყოს ექსპერტიზისგანმახორციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდესგანმახორციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას) დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს სამუშაოების დასრულების დადასტურების დღიდან (20) კალენდარული ვადაში დღის ვადაში.

6.4.შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება განხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის, მშენებლობისა და ზედამხედველობის სამსახურის სისტემატიური შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის' და ექსპერტიზის' დადებითი დასკვნის შემდეგ.

6.5. ,,მიმწოდებელმა" უნდა მოახდინოს შემსყიდველის ინფორმირება შესყიდვის ობიექტზე ექპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტის მიერ ობიექტის დათვალიერება, ნიმუშების აღება ე.წ. ,,ამოჭრა" უნდა მოხდეს შემსყიდველის წარმომადგენლის თანდასწრებით ამ პუნქტის მოთხოვნების დაცვის გარეშე წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა არ მიიღება,

6.6.სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი კონტროლის ჯგუფის'' მიერ სამუშაოების დასრულების დადასტურების დღე.

6.7.შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი წესით მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.8.შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ სამუშაოების წარმოების პროცესში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოებს ფასებს ხარისხს და მოცულობას ჩაუტაროს ექსპერტიზა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" მეშვეობით.(ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი). უარყოფითი დასკვნის შეთხვევაში მოცემული სამუშაო არ მიიღება და განიხილება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითი.

## 7. ანგარიშსწორეის პირობები

7.1.ეტაპობრივი ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, ,,მიმწოდებლის" მოთხოვნას ეტაპობრივი ანგარიშსწორების შესახებ უნდა ერთვოდეს:
- ✓ ინსპეტირების ჯგუფის დადებითი დასკვნა.
- ✓ შუალედური მიღება ჩაბარების აქტი
- ✓ ფარული სამუშაოს აქტები
- ✓ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება.
- ✓ სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული სამშენებლო მასალების (ცემენტობეტონის (ნარევის მარკიანობა, ხარსიხი) ღორღის, ქვიშის) დადებითი ლაბორატორიული დასკვნა.
- ✓ საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

7.2.საბოლოო ანაგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, ,,მიმწოდებლის" მოთხოვნას საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ უნდა ერთვოდეს:
- ✓ ინსპეტირების ჯგუფის დადებითი დასკვნა.
- ✓ საბოლოო მიღება ჩაბარების აქტი
- ✓ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება
- ✓ ფარული სამუშაოები აქტები
- ✓ სამუშაოების შესრულების პროცესში გამოყენებული სამშენებლო მასალების (ცემენტობეტონის (ნარევის მარკიანობა, ხარსიხი) ღორღის, ქვიშის) დადებითი ლაბორატორიული დასკვნა.
- ✓ მთლიანად შესრულებ სამუშაოებზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის! ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო შესრულებულ სამუშაოს ფასზე, ხარსზე და მოცულობაზე (იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", დამატებით წარმოადგენილი უნდა იყოს ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი (აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას)
- ✓ საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

7.3.სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი"-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოებზე დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 10%. 7,5%-ის დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრული დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2.5% (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი") დაბრუნება მოხდება სამუშაოების საგარანტიო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ

მიმწოდებელი საგარანტიო პირობების ფარგლებში აწარმოებს აღდგენით სამუშაოებს, რომლის დასრულებაც ვერ ხერხდება საგარანტიო ვადის პერიოდში, ამ შემთხვევაში საგარანტიო თანხა არ ანაზღაურდება ხარვეზების გამოსწორებამდე (მიუხედავათ საგარანტიო ვადის გასვლისა)

7.4.მიმწოდებლის მხრიდან საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე დარჩენილი 2.5% ზე უპირობო, გამოუთხოვადი, საბანკო გარანტიის ( საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმულ–რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს საგარანტიო ვადას) წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს თანხის გადახდა ( უკან დაბრუნება)

7.5.მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, თუ იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახდო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არ არსებობა.

7.6.მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

7.7.შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული) საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

7.8.ავანსის დაქვითვა მოხდება ყოველ შესრულებ სამუშაოზე გაცემული ავანსის ღირებულების მინიმუმ 20% -ის ოდენობით.

7.9. მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს.

7.10.იმ შემთხევაში თუ კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის ვადის ამოწურვისას ,,მიმიწოდებლის“ მიერ არ არის შესაბამისი ეტაპის ღირებულების სამუშაოები სრულად შესრულებული, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები ღირებულება არ ანაზაღაურდება ეტაპით გათავლისწინებული ღირებულების სამუშაოების სრულად შესრულებამდე.

7.11.იმ შემთხვევაში თუ ამოწურულია სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადა და მიმწოდებელი სამუშაოებს ასრულებს ვადაგადაცილებების პერიოდში დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება არ ანაზღაურდება სამუშაოების სრულად დასრულებამადე.

7.12.გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

7.13. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

7.14.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.15.ანგარიშსწორება მოხდება ანგარაშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტების სრულად წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

## 8. გარანტია

8.1.შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 3 (სამი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული დეფექტი გამოწვეულია ,,მიმწოდებლის“ მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, 30 (ოცდაათი) დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოები.

8.2. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში დაკავებული იქნება სამუშაოების ღირებულების 2.5%, რომლის დაბრუნება (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი“) მოხდება სამუშაოების საგარანტიო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ.

8.3. იმ შემთხვევაში თუ 8.1 ქვეპუნქტით გათვალსწინებულ ვადებში ,,მიმწოდებელის“ მიერ არ მოხდა ხარვეზების აღმოფხვრა ,,შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას მთლიანი დაიქვითოოს საგარნტიო თანხა მოცემულ მომენტში საგარნტიო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის აღნიშნული მიმწოდებელს სრულად არ ანთავისუფლეს საგარანტიო ვალდებულებისაგან.

8.4.იმ შემთხვევაში თუ საგარნტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა გახდება იმაზე მეტი თანხა ვიდრე ეს დაკავებული საგარანტიო თანხაა, ამ შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" ვალდებულია დამატებითი სახსრებით(საკუთარი) მოახდინოს ხარვეზების სრული აღმოფხვრა.
8.5.იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი საგარანტიო პირობების ფარგლებში აწარმოებს აღდგენით სამუშაოებს, რომლის დასრულებაც ვერ ხერხდება საგარანტიო ვადის პერიოდში, ამ შემთხვევაში საგარანტიო თანხა არ ანაზღაურდება ხარვეზების გამოსწორებამდე (მიუხედავათ საგარანტიო ვადის გასვლისა)
8.6..მიმწოდებლის მხრიდან საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე დარჩენილი 2.5% ზე უპირობო, გამოუთხოვადი, საბანკო გარანტიის ( საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმულ-რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს საგარანტიო ვადას) წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს თანხის გადახდა ( უკან დაბრუნება)

**9.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა**

9.1.ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე - ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც გახდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ამ ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთიებული ინფორმაცია.
9.3. ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

**10. სუბკონტრაქტორები**

10.1.მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ასევე აცნობოს თუ რა მოცულობის სამუშაოები გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.
10.2. ქვე-კონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.
10.3. მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა ეცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.
10.4. სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.
10.5 ქვე-კონტრაქტორი არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არაკეთილსინდისიერთა მეწარმეთა რეესტრში (შავ სიაში).

**11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი–შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

**12. მხარეთა უფლება–მოვალეობები**

12.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ✓ სამუშაოები შეასრულოს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, ტექნიკური პირობის, წესებისა და ნორმების შესაბამისად.

- ✓ უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- ✓ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.
- ✓ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- ✓ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის] აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- ✓ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსის თანხა გამოიყენოს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში განსაზღვრული სამუშაოების შესრულების მიზნით .
- ✓ შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.
- ✓ ყოველდღიურად ჰყავდეს მუდმივი წარმომადგენელი (პასუხისმგებელი პირი) სამშენებლო ობიექტზე.
- ✓ ,,მიმწოდებელი"ვალდებულია,მასალებისგამოცდისათვისსაჭიროსპეციალიზირებულ აკრედიტირებულ(ლაბორატორიაში, ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების (ბეტონის ნარევის, ღორღის, ქვიშის) ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულების დროს შემსრულებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ბეტონის, ღორღის, ქვიშის,) ლაბორატორიული დასკვნები მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

12.2.შემსყიდველი ვალდებულია:

- ✓ შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1.ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგენილია საბანკო გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და ძალაშია 2017 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.

13.2.ხელშეკრულების შესრულების მიზნით „შემსრულებლის" მიერ წარმოდგენილია სს,,ვითიბი" ბანკის მიერ გაცემული საბანკო გარანტია სართო თანხაზე 34 400 (ოცდათოთხმეტიათას ოთხასი)ლარი, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.3.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია.

13.4.მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

## 14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.დაუძლეველი ძალის გარდა ხელშეკრულბის მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: – ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 20% (ოცი)-ის ოდენობით.

14.2.მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

14.3 მხარემ რომელმაც ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 20 % ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

14.4 მხარემ რომელმაც ნაწილობრივ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი( დარჩენილი) ვალდებულების 10% ოდენობით.

14.5.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მასზე დაკისრებული პირგასამტეხლო. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს

შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათაგაქვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.6.საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ.

15.4.მხარეების მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე ადრე შეიძლება შეწყდეს თუ:

- ✓ რომელიმე მხარე არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს).
- ✓ მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდიისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა.
- ✓ მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
- ✓ მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
- ✓ თუ ,,მიმწოდებელი" კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალიწინებულ შესაბამის ეტაპს ჩამორჩება 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.
- ✓ თუ ,,მიმწოდებლის" მიერ სამუშაოების დაწყება არ მოხდება 10(ათი) კალენდარულ დღეზე მეტ ვადაში
- ✓ თუ ,,მიმწოდებლის" მიერ განმეორებით დაარღვია ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკი.
- ✓ თუ ხელშეკრულების პირობების დაგვიანებით შესრულების გამო მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%ს.
- ✓ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რო მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
- ✓ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

15.5.მიღებული გადაწვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ უნდა იყოს არგუმენტირებული დასაბუთებული და უნდა დასტურდებოდეს ფაქტების არსებობა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების შესახებ.

15.6.ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 16. დაუძლეველი ძალა

16.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

16.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

16.3.მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 17. სადავო საკითხების გადაწყვეტა

17.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 18. გადასახადები და დაზღვევა

18.1.,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

19.2.ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან

20. ხელშეკრულების მხარეები:

შემსყიდველი"

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

---------------------------------

თემურ ქორიძე

„მიმწოდებელი"

შპს ,,გი-ან 2011"
შპს ,,გი-ან"-ის დირექტორი

---------------------------------

გია კოპალეიშვილი

## შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

- **შესყიდვის ობიექტი:** ქ.თერჯოლა-სიქთარვის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა ( მეორე ეტაპი, დასრულება)
- **სავარაუდო ღირებულება:** 743 774 ლარი დღგ-ს გათვალისწინებით
- **CPV კოდი:** 45233110 - საავტომობილო გზების მშენებლობა
- **დაფინანსების წყარო:** პროგრამები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 95%, ადგილობრივი ბიუჯეტი 5%.

**1.სამუშაოთა შესრულების ვადები:**

- ✓ სამუშაოები დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 100 (ასი) კალენდარული დღე.
- ✓ მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
